ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სახელოვნებო სწავლების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და პრაქტიკული განხორციელებისა და მაღალკვალიფიკაციური პროფესიული კადრების მომზადების ´მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი კულტურული ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებას.
- შემოქმედებითი, აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თოჯინებისა და მოზარდ მაყურებლთა თეატრის საშემსრულებლო სახელოვნებო მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათ-ლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს უნივერ-სიტეტების პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.
1.3. თეატრის მსახიობები და რეჟისორები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მონაწილეობას მიიღებენ: მასტერკლასების ჩატარებაში; შემოქმედებით საღამოებში; კულტურულ ღონისძიებებში; სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.
1.4. თეატრის ადმინისტრაცია საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებას.
1.5. განახორციელებენ ერთობლივ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, თეატრალურ წარმოდგენებსა და კულტურულ ღონისძიებებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვა–ლისწინებული ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3.ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ
მაყურებელთა სახელმწიფო
თეატრის მმართველი — მ. ჩარკვიანი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

2011 წლის 15 დეკემბერი

ბათუმის თოჯინების და მოზარდმაყურებელთა
სახელმწიფო თეატრი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

დამატება

ქ. ბათუმი

აპრილი, 2013 წელი

მუხლი 1. პუნქტი 6

ბათუმის თოჯინების და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ხელს შეუწყობს და შეუქმნის შესაბამის პირობებს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის გავლაში.

ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა
სახელმწიფო თეატრის მმართველი — მ. ჩარკვიანი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია